წელიწადი 1-ლი    გაზ. ფასი 3 შაური.    ტელეფონი № 76.    ოთხშაბათი დეკემბრის 6—(19) 1917

# ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
თვიურათ . . . 3 მან.
ოთხი თვით . . . 1 თუმანი.
ცალკე ნუმერი . . . 3 შაური.
განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტით ლინს . . . 2 აბაზი.
უკანასკნელ გვერდზე . . . შაური.
ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ლინს ერთი ორათ.
სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოეულ არა უმეტეს სამი გამომცხადებლისა, ნაშუადღევის 1 საათ. 8 მ. 1 საათის შემდეგ 10 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქუჩაზე, მიქელაძის სახში. კანტორა ღიაა დილის 9—2 საათამდის, და სალამოს 5—8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 193    ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი    № 193

შაბათს, 9 დეკემბერს, 1917 წლისა,

ქუთაისის წმ. ნინოს სახელობის საქალებო სასწავლებლის ღარიბ მოწაფეთა დასახმარებლათ გაიმართება

სალიტერატურო დრამატიული მუსიკალური

## საღამო

სალამოს შემდეგ ვახშამი

დაწვრილებითი პროგრამა-აფიშაში.

ყოველივე შემოწირულება ფულით თუ სანოვაგით მადლობით მიიღება.

მშობელთა წრის საქველმოქმედო სექციის თავმჯდომარე მარიამ ანჯაფარიძისა.

დამხმარე საზოგადოების „ერთობის“ გამგეობა მოსამსახურეთა სახაზინო და სახელმწიფო დაწესებულებათა ქალ. ქუთაისში და ქუთაისის გუბერნიაში ამით აუწყებს პატივცემულ წევრებს, რომ მე-28 მუხლის ძალით, 10 დეკემბრს დღის 11 საათზე სახაზინო გიმნაზიაში დანიშნულია

## სასწრაფო კრება

გამგეობის ანგარიშის განსახილველათ 19 მაისიდან 1 ნოემბრამდი 1917 წ.

გამგეობა.

ექიმი კ. ს. ადამია 10 დეკემბრიდან იღებს საზებიო, შინაგან და ბავშთა სნეულებით ავადმყოფთ. დილის 11 საათ. 1 საათ. საღამ. 6 საათ. 8 საათ. ბაღის ქუჩა სახლი სანიკიძის № 12.

## მომღერალ

მოწაფე ქალ-ვაჟთა ყრილობა

დანიშნულია ოთხშაბათს 6 დეკემბერს, დილის ათი საათიდგან სოც.-დემოკრატ. კლუბის დარბაზში.

თანახმად სამოსწავლო კომისარიატის დადგენილებისა უნდა შესდგეს მოწაფეთა მუდმივი გუნდი, რომელიც შეუერთდება სრულიად საქართველოს ეროვნულ ხორის. მოკლე მოხსენების შემდეგ გაიმართება ახალი ქართული ჰიმნის და სარევოლიუციო საგალობელის რეპეტიცია. რეპეტიციაზე დასწრება და მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველას არა მოწაფესაც ვისაც ხმა აქვს და რომელიმე ხორში უკვე უმღერია. ყრილობა ინტერპარტიულია. გთხოვთ თან იქონიოთ პატარა ქაღალდი და კარანდაში.

ქართული ეროვნული გუნდის ლოტბარი კ. ფოცხვერაშვილი.

## სადღეისო.

ქუთაისის საოლქო სასამართლოში დაარსდა, ამ რევოლუციის დროს, ერთი წრე, რომელსაც, მისი წესდების სიტყვებით, ეწოდება „სასამართლოს მოღვაწეთა კავშირი“. კავშირს ამ უკანასკნელ დღეებში მეტად საყურადღებო განკარგულება მოუხდენია: მან მიანდო თავის რამოდენიმე წევრს, რათა მათ შეადგინონ კომისია იმ საზოგადო მოღვაწეთაგან, რომელთაც შეუძლიან ხელი შეუწყონ სასამართლოს შესაფერ რეორგანიზაციას.

ეჭვი არაა, კავშირის ეს ნაბიჯი დიდ თანაგრძნობას გამოიწვევს ჩვენს საზოგადოებაში, ვინაიდგან დღეს იმისთანა მომენტი დადგა ჩვენში, რომ ყოველი ქართველი ვალდებულია თავისი წვლილი შეიტანოს ქართველი ერის განახლებულ ცხოვრების მოწყობაში.

როგორც მკითხველებმა იციან, ჩვენმა პირველმა ეროვნულმა კრებამ თფილისში (19—23 ნოემბერს) მიიღო ის რეზოლუციები, რომელნიც იურიდიულმა სექციამ შეიმუშავა. სექციის დებულებანი, სხვათა შორის, ეხებიან „სასამართლოს რეორგანიზაციას“, ესე იგი „ზოგი ინსტიტუტის გაუქმებას და ზოგის ახლად შექმნას.“ ამასთანავე მიღებულია, რომ რეორგანიზაციას სარჩულათ უნდა დაედოს სასამართლოს ნაციონალიზაცია.

აქედან ცხადია, რომ სასამართლოს ნაწილი ჩვენში სავსებით უნდა გადახალისდეს, უნდა გარდაიქმნას. მაგრამ იურიდიულმა სექციამ, რაღა თქმა უნდა, ვერ შესძლო, როგორც თვითონ აღიარა ეროვნულ კრებაზე, ორ-სამ დღეში დეტალურათ განეთვალისწინებია მეტად რთული საგანი და შესაფერი დაწვრილებითი დებულებანი აღენიშნა. ამიტომ მან საჭიროდ სცნო კრებაზე განეცხადებია, რომ „ეროვნულმა კრებამ ყველა წარმოდგენილი დებულებების დაწვრილებითი შემუშავება და განხორციელება ეროვნულ საბჭოს მიანდოს“. ეს აზრი სექციისა მიღებული იქმნა კრებისაგან. მაშასადამე, ცხადია, რომ საბჭო შეუდგება ამ რთული საქმის გამოკვლევას და შემუშავებას. როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, საბჭოს უკვე ამოურჩევია რამოდენიმე პირი, რომელთ უნდა იკისრონ ამ საქმის ხელმძღვანელობა.

მაგრამ ეს ჩვენ ზნეობითი უფლებას არ გვაძლევს, რომ გულზე ხელდაკრეფილი ვიჯდეთ, საბჭოს შევყურებდეთ და თავისი ცოდნა და გამოცდილება ამ დიად ეროვნულ საქმეში არ შევიტანოთ. ამიტომ ჩვენ მოვიწვევთ, ყოველი იურისტი და არა-იურისტიც, რომელსაც ოდნავ სარგებლობის მოტანა შეუძლია, ჩაეწეროს იმ კომისიაში, რომელიც ახლა არსდება, და შრომას არ მოერიდოს. პირველი სხდომა ამ ჯერ მცირე რიცხოვან კომისიისა შესდგა ორს ამ თვეს. მეორე კი დანიშნულია ამავე თვის ათს ქუთაისის ოლქის სასამართლოში. საჭიროა კრებას არ დავაკლდეთ!

დ. გ—ლი.

## საქართველო და საზავო კონგრესი.

საქართველოს ეროვნულმა ყრილობამ მრავალი გაუგებრობა გამოარკვია საქართველოს კითხვაში, როგორც შინაურებისათვის, ისე გარეშეთათვის, და ჩვენი ეროვნული ცხოვრებისა და განვითარების აწეწილ-დაწეწილობასაც რამდენადმე ბოლო მოუღო. მაგრამ მას ყველაფერი ჯერ კიდევ არ უთქვამს და სათქმელის ნაწილს იტყვის ან ეროვნული საბჭო, ან საქართველოს დამფუძნებელი კრება. თქმა არ უნდა, რომ საქართველოს დამფუძნებელ კრებას ეკუთვნის საქართველოს კითხვის საბოლოო ჩამოყალიბება. ჩამოყალიბება იგი იქნება ურყევი, მტკიცე და, ვიმედოვნებთ, ყველასათვისაც მისაღები.

მაგრამ ცხოვრებისა და საერთაშორისო დამოკიდებულების ლოღიკა ანგარიშის გაწევას თხოულობს. დღევანდელი მომენტი ისე უცბად და მოულოდნელად სწყვეტს თვისატეხ კითხვებს, რომ გამოცდილი პოლიტიკოსები და დიპლომატებიც ვერ ერკვევიან და ხშირად მომხდარი ფაქტის წინაშე დგომა უხდებათ.

საზავო კონგრესი მომენტის კითხვად იქცა და შესაძლებელია მან გადასწყვიტოს არა მარტო მეომარ სახელმწიფოთა, არამედ იმ სახელმწიფოთა და ერთა ბედი და უბედობაც, რომელნიც პასივ ელემენტების როლს თამაშობდნენ ამ ომში. მით უმეტეს უნდა ვიფიქროთ, რომ საზავო კონგრესი ომში ასე თუ ისე ჩაბმულ საქართველოს კითხვასაც დასვამს განსახილველად და შესაძლოა ისეთი რამე მოგვახვიოს თავზე, რაც არსებითად ეწინააღმდეგება ქართველი ერის ინტერესებს. ამ შემთხვევაში საქმის ველარავითარი კასაცია ვერ გვიშველის. საქმე გვექნება მსოფლიოს ბედის გადამწყვეტ დიდსა და ძლიერ სახელმწიფოებთან, რომელნიც ფიქრადაც არ გაიტარებენ გარდაწყვეტილისა და დაკანონებულის შეცვლას, ან შესწორებას. ცხადია არც იმას გაუწევენ ანგარიშს, იქნება თუ არა საზავო კონგრესის ვეტო სამართლიანობის პრინციპზე აგებული.

დღეს დღეობით საქართველოსა და ქართველ ერს ერთად ერთი პატრონი ჰყავს. ეს არის ჩვენი ნორჩი ეროვნული საბჭო, რომლის შემადგენლობა იმედს არ გვიკარგავს, რომ ყოველი საქართველოს შესახები კითხვა გათვალისწინებული და წამოყენებული იქნება სადაც ჯერ არს. მაგრამ მტკიცე და გარდამწყვეტი ნაბიჯები ხშირად სჯობნიან მეტის-მეტ ყოყმანს. ასწლიურმა მონურმა არსებობამ დიდი ზიანი მიაყენა ჩვენს პოლიტიკურ და დიპლომატიურ აზროვნებას და ამიტომ შესაძლებელია, ჩვენმა ეროვნულმა საბჭომ ვერ იკისროს საქართველოს დამფუძნებელ კრების მოწვევამდე საქართველოს კითხვის საზავო კონგრესზე დასმა. ეს კი დიდი შეცდომა იქნებოდა, რადგან ჯერეც გამოურკვეველია, თუ როდის შესდგება საქართველოს დამფუძნებელი კრება, ან საერთაშორისო საზავო კონგრესი. ამიტომ ეროვნული საბჭო ვალდებულია დაუყოვნებლივ შეუდგეს სამზადისს ამ დარგში.

ამ მხრივ უზრუნველყოფილია პოლონეთი, ფინეთი, უკრაინა, ლიტოვეთ, და ლატვია, ბელორუსეთი და სხვა დასავლეთის ეროვნული ერთეულებიც, ხოლო აღმოსავლეთის ეროვნულ ერთეულებიდან ჯერ-ჯერობით მარტო სომხეთი. ქართველები და აღმოსავლეთის სხვა ერები კი ჯერჯერობით სდუმან. არც სხვა მეომარი თუ არა მეომარი სახელმწიფოები, ან ერები იტკენენ თავს საქართველოს კითხვით. ამგვარად შესაძლებელია ჩვენი კითხვა საზავო კონგრესზე ისე დაისვას, რომ ქართველ ერს თავისი ნებისყოფა არც კი გამოეხატოს.

ჩვენმა ეროვნულმა საბჭომ ქართველი ერის რეალი ძალები არც უნდა შეამციროს და არც უნდა გადააჭარბოს.

საქართველომ, პროცენტულად რომ ვიანგარიშოთ, ყველა სხვა ერზე მეტი სისხლი გაიღო ამ ჟამგალითო ომში. საქართველოს აქვს აგრეთვე საერთაშორისო ხელშეკრულება, 1783 წლის ტრაქტატი, რომელიც დიდს უპირატესობას ანიჭებს ჩვენს სამშობლოს სხვა ერებთან შედარებით. ამასაც ანგარიშს გაუწევენ საზავო კონგრესზე, ვინაიდან იქ უკეთ დააფასებენ ამ ტრაქტატის ძალას, ვინემ ჩვენში, ან რუსეთში.

რუსეთი იქნება იგი კადეტებისაგან, თუ სოციალისტებისაგან წარმდგენილი საზავო კონგრესზე, თქმა არ უნდა, შეეცდება ამ ტრაქტატის გაბათილებას, რადგან იგი რუსთ ბატონობას ვეღარ დაამკვიდრებს საქართველოს ტერიტორიაზე. მოსკოვის სახელმწიფო თათბირზე, როდესაც ოსიკო მაჭავარიანმა ამ ხელშეკრულების მნიშვნელობა აღნიშნა, მილიუკოვმა მწარედ გაიღიმა, ხოლო რუსეთის სოციალისტებმა სოციალიზმის ღალატად ჩაუნერგეს თავში ქართველ სოციალისტებს. საზავო კონგრესზე, ეჭვს გარეშეა, რუსები ტრაქტატის მიფუჩეჩებას მოინდომებენ, მაგრამ სწორედ იმიტომ არის საჭირო საქართველოს დელეგატი, რომ საერთაშორისო საზავო კრებულში მთელის ძლიერებით დაიცვას ტრაქტატი და მასთან, ერთად საქართველოს პოლიტიკური უფლებები.

ბევრი გაიძახის, რომ საქართველოს საზღვრებს ზარბაზნებისა და ტყვიის-მტყორცნელების განმანადგურებელი გრიალი არ უხილავსო. თუ ავიღებთ ხელში მილიუკოვისა და ხატისიანცის საზომს, ეს მართალია, ხოლო თუ ქართველი ერის ინტერესების საზომით გავმიჯნავთ საქართველოს ტერიტორიას, თუ ლაზისტანისა და საშამშადინო საქართველოს თვით გამორკვევისა და კულტურულ ვითარებას და უდებთ სარჩულად ამ გამიჯვნას, მაშინ ნათელი გახდება ჩვენთვის, რომ **საქართველოს ტერიტორიაც** ისევე გახვეულა ამ საშინელი ომის ქარცეცხლში, როგორც ტერიტორია სომხეთისა, პოლონეთისა, ლიტოვეთისა და სხვათა.

რაც ადრე განიხილავს ამ კითხვებს საქართველოს ეროვნული საბჭო და პრაქტიკულ ნაბიჯებსაც გადასდგამს, მით უფრო დაარწმუნებს გატანჯულ ქართველობას, რომ მისი ბედი საიმედო ხელში იმყოფება.

იოსებ ხანანაშვილი

## მოლდავეთი.

დიდი რუსეთის ეროვნულათ გამიჯვნის პროცესი შეუჩერებლივ სწარმოებს და უახლოვდება თავის აპოგეას.

ყოველ დღე ახალ ახალი ეროვნებანი გამოდიან და იპოვებენ ეროვნულ პოლიტიკურ უფლებას.

როგორც ოფიციალი ცნობით ვტყობილობთ ნოემბრის 26-ს მოლდაველებს უნდა მოეწვიათ თავისი ეროვნული საბჭო. სდგება მოლდაველთა ლაშქარი გენ. შჩერბაჩევს ნება დაურთავს, რომ მოლდაველი ჯარისკაცები, რომლებიც სხვადასხვა სამხედრო ნაწილებში არიან გაბნეული ერთ ეროვნულ ერთეულში დაბრუნდენ. და შეიკრიბენ.

მოლდაველებს უკვე ჰყავთ ეროვნული ლეგიონი რომელიც სამშობლო სამოსახლო ტერიტორიის გამორკვევის მერე მშობლიურ მიწაწყლის დაცვას კისრულობს.

ვინ არიან მოლდაველები? ეს ხალხი ეკუთვნის რომანთა რასას, იგი რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ოტომანთა ბატონობის ქვეშ იყო. 1812 წ. რუსეთ ოსმალეთის ომის საზავო ხელშეკრულების ძალით ყირიმი რუსეთს დარჩა, შემდეგ 1873 წლის ბერლინის კონგრესმა ბესარაბიის ერთი დიდი ნაწილიც რუსეთს არგუნა.

ბესარაბია თავის მოსახლეობით ეროვნულათ მეტად აჭრელებულია. აქ შეხვდებით ხორვატს, ჩრდილო სლოვენებს ბულგარელებს, სერბებს, სომხებს და მოლდაველებს. მოლდაველები თავის რიცხოვნობით უდრიან სულ ცხრასი ათასს.

კულტურა სუსტი აქვთ. რუსეთს იარაღით ჰქონდა შეძენილი ეს მხარე.

თუ დღეს, ცხრაასი ათასი ყოველგვარ ისტორიულ უფლებას მოკლებული მოლდავეთი ეროვნულ საბჭოს იწვევს და ეროვნულ ლაშქარს აღგენს, დღესავით ნათლია, რომ გაცილებით მეტი მიზანი მოთხოვნილება და მუშაობა უნდა ჰქონდეთ ქართველებს.

ჩვენ გვაქვს საერთაშორისო უფლება, განვვიცდია სახელმწიფური ცხოვრება და მოლდაველებთან შედარებით ჩვენი რიცხვი სამჯერ მეტია.

ჩვენ არ უნდა მოვსთხოვოთ რუსეთის მთავარ სარდლობას, რომ სხვადასხვა ასპარეზზე გაფანტული ქართველი მეომრები სამშობლოში დააბრუნონ?

დღემდისაც უნდა მოგვეთხოვა, ხოლო დღეს ამას თვით პირობები გვაიძულებენ.

რუსეთის მცირე ერების ეროვნულათ დარაზმვა და მათი ცხოვრების საკუთარ ეროვნულ საფუძვლით მოწყობა შემთხვევითი ან რომელიმე ცალკე ჯგუფის სურვილით გამოწვეული მოვლენა კი არ არის არამედ ის არის დიადი სალი შემოქმედება ერთა განთავისუფლებისა და სამართლიანობის დამყარებისა.

თვით **უკრაინაც**, რომლის წინაშეც მუხლს იდრეკდენ სხვა ერები რომელიც მთავარი ძარღვი იყო რუსეთის სახელმწიფურ ცხოვრებისა, დღეს გამოერკვა და ცალკე საბჭო დაიარსა.

არავინ რჩება ეროვნულ აღორძინებისა და შემოქმედების გარეშე.

ქართველებს, ყოველი ასეთი მოვლენის გათვალისწინება გვავალებს, რაც შეიძლება მეტი ეროვნულ ენერგიის გამომჟღავნებას შრომას, რათა არ ჩამოვრჩეთ საერთო პროცესს და დროზე დავიმკიდროთ ეროვნულ ცხოვრების უზრუნველმყოფი პირობები.

ირ—დი.

## ახალი ამბავი.

### ქუთაისი.

**უქმის გამო** ჩვენი გაზეთის მორიგი ნუმერი გამოვა პარასკევს 8 ნოემბერს.

**ქუთაისის გუბერნიაში ერობის შემოღების შესახებ.** 4 დეკემბერს მოხდა კრება ქუთაისის საგუბერნიო აღმასრულებელ კომიტეტისა ქუთაისის გუბერნიაში ერობის შემოღების შესახებ. ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ გრ. ურატაძემ მან აღნიშნა, თუ რა მდგომარეობაში იმყოფება ქუთაისის გუბერნიაში სხვადასხვა ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მოსამსახურეები, სახალხო მასწავლებლები და სხვები, რომლითაც დღემდის ჯამაგირები არ მიუღიათ და თუ კიდევ მდგომარეობა ასე გაგრძელდა მუშაობას თავს დაანებებენო. ყველა ეს საკითხები უნდა მოაგვაროს საერობო მმართველობამ.

საგულისხმო ცნობა მოსულა აგრეთვე ახალ-სენაკის სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტიდან. ისინი იწერებიან თქვენ თუ ამ მოკლე ხანში არ განახორციელებთ ერობას ჩვენ აღარ დავუცდით და ჩვენს მაზრაში შემოვიღებთ საერობო მმართველობასო.

მდგომარეობა ასეთია, მაგრამ, რომ ერობა მალე იქმნეს განხორციელებული, საჭიროა პარტიებს შორის შეთანხმება მოხდეს, რომ ხელახალი არჩევნები არ მომხდარიყო და ერობას სათავეში ჩადგომოდა ეხლა ხან არსებული აღმასრულებელი კომიტეტები, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების დამატებით.

ასეთ აზრს იზიარებდა ს. დემოკრატები და ეროვნულ-დემოკრატები. ბოლშევიკების წარმომადგენელი ამის წინააღმდეგ წავიდა, ს. ფედერალისტების აზრი ორივე მხარისაკენ იხრებოდა. ზოგი მათგანი იცავდა იმ აზრს, რომ არჩევნები არ მომხდარიყო და ზოგიც კი რომ არჩევნები უსათუოდ მოეხდინათ.

რადგანაც შეთანხმება არ მოხდა, დადგენილება გამოიტანეს, რომ ერობის შემოსაღებათ მოხდეს არჩევნები.

რომ კიდევ არ დაგვიანდეს ერობის შემოღების საკითხი იმ აზრს დაადგენ რომ პირველად შემოღებულ იქმნეს სამაზრო საერობო ერთეული.

სამაზრო მართველობაში იქნება 20-დან 50 მდე ხმოსანი, იმის და მიხედვით ამა თუ იმ მაზრაში რამდენი მცხოვრები იქნება. ხმოსანთა კანდიდატების სიების შედგენა მოხდება პარტიათა შორის შეთანხმებით.

ყოველ სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტთან უნდა შესდგეს განსაკუთრებული კომიტეტი 7 კაცისაგან შემდგარი, რომელიც მოამზადებს მასალას ერობის შემოღებისათვის. ქუთაისის საგუბერნიო აღმასრულებელმა კომიტეტმა თავის მხრით აირჩია: ვ გობეჩია, პ. მოდებაძე და ლ. შურღაია. ამ პირებმა კოოპტაციის ძალით უნდა მოიწვიონ ერობის მცოდნე პირები.

აგრეთვე კრებამ აირჩია კომისია, რომელნიც უნდა გაემგზავრონ სხვა და სხვა მაზრებში და ხელმძღვანელობა გაუწიონ, როგორც არჩევნებს, ისე ერობის შემოღების საქმესაც ამ კომისიაში აირჩიეს: გრ. ურატაძე, ტიტე მარგველაშვილი, გ. გველესიანი, ი. გობეჩია, პ. მოდებაძე, აბზიანიძე და ვ. კანდელაკი. მათ კანდიდატებათ კი გრ. ბარათაშვილი და ვ. ქუთათელაძე. მათ დღიურ ხარჯათ მიეცემათ დღეში ოც-ოცი მანეთი გზის ხარჯების გარდა. ეს ფული საგუბერნიო კომიტეტმა უნდა ისესხოს სასურსათო კომიტეტიდან.

◆ **ფულის გადმოგზავნის უარისყოფა.** ამას წინათ გუბერნიის კომისარმა შუამდგომლობა აღძრა, რომ ქუთაისის გუბერნიაში გზების შესაკეთებლათ გადადებულ ყოფილიყო 103,402 მანეთი, მაგრამ ამის შესახებ კავკასიის ოლქის გზათა სამმართველო ატყობინებს, რომ ამ ფულის გადადების საკითხი უყურადღებოთ იქმნა დატოვებული, რადგანაც ის თანხა, რომელიც გზათა სამინისტრომ ამიერ-კავკასიის გზებისათვის გადასდო (808000 მანეთი) ჯერ-ჯერობით კავკასიის ოლქის გზათა სამმართველოსთვის არ გადმოუგზავნიათ.

◆ **სახალხო მასწავლების შესახებ.** ქუთაისის საგუბერნიო აღმასრულებელმა კომიტეტმა 4 დეკემბერს გაარჩია საკითხი სახალხო მასწავლებელთა მდოგმარეობის შესახებ. როგორც გამოირკვა მათ ჯამაგირები აგვისტოდან არ მიუღიათ და მეტად ცუდ პირობებში იმყოფებიან. დაბადებულა ერთი აზრი, რომ გადასახადი გაეწერათ ხალხზე, მაგრამ თვით მასწავლებლები ამის წინააღმდეგ წასულან. აღმასრ. კომიტეტმა ამის შესახებ იქონია მსჯელობა და დაადგინა, რომ ხალხს მასწავლებელბის დასაკმაყოფილებლათ გადასახადი გააწერონ მაშინ, როდესაც ქუთაისის გუბერნაში ერობა იქნება შემოღებული.

◆ **ვაგონები სასურსათო კომიტეტს.** ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის თავმჯდომარე პირდაპირი მავთულით დაელაპარაკა თბილისში რკინის გზის მატარებელთა მიმოსვლის უფროსს, და სთხოვა, რომ ქუთაისის გუბერნიისათვის დაეთმოთ ვაგონები რათა შეზოეზიდონ სურსათ-სანოვაგე და შეშა. მიმოსვლის უფროსისაგან ასეთი პასუხი მიიღეს: ვაგონების კრიზისს მარტო ქუთაისი არ განიცდის. ასეთსავე მდგომარეობაში იმყოფება სხვა კუთხეებიც. ჩვენ ყოველგვარ მოთხოვნილებას დავაკმაყოფილებთ რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება. და ყველა მოთხოვნილება, რომ ერთათ დავაკმაყოფილოთ ეს გამოიწვევს გზის არევ დარევას და ანახიას.

◆ **ადგილობრივი დეპეში ტუსაღებისა.** ქუთაისის ციხეში მოთავსებულ შუბლაძისა, გუნიასა ჭიპაძის და ნოსკოვისგან ჩვენმა რედაქციამ მიიღო დეპეში შემდეგი შინარსისა: ჩვენ დაპატიმრებულნი ვართ არა სასამართლოს წესით, ვსხედართ ციხეში რამდენიმე თვე. მუშათა საბჭოს დადგენილებით ჩვენი საქმე არ გადაუციათ სასამართლო კომისარისთვის და ვადა სასჯელისა გვქონდა დამფუძნებელი კრების მოწვევამდის. რადგანაც ეხლა დამფუძნებელი კრება უკვე მოწვეულია, ჩვენ კი არ გვანთავისუფლებენ და ვიტანჯებით, როგორც ჩვენ ისე ჩვენი ოჯახებიც, გადავსწყვიტეთ ჩვენს ტანჯვას ბოლო მოეღოთ სიკვდილით, და დღეიდან ვაცხადებთ შიმშილობასო.

პროვინცია

— **ქ. ახალ-სენაკი.** სენაკის მაზრაში დამზადებულია დიდძალი დაფნის ფოთოლი. მაგრამ დაფნის გაზიდვა აკრძალულია. ამისთვის შუამდგომლობა აღიძრა, რათა დაფნის გაზიდვის ნება დართონ.

— **ახალ-სენაკის** პირველ დაწყებითი უმაღლეს სასწავლებელში-თავისუფალია სასწავლებლის გამგის ადგილი. სასურველია, უმაღლეს სწავლა დამთავრებულ დამთავრებული კანდიდატი მისამართი: სკოლის სამზრუნველო კომიტეტი

## თბილისი.

— **ქართული უნივერსიტეტისა და ქართული თეატრის უზრუნველყოფა.** ამიერ-კავკასიის კომისარიატმა ნება დართო ივ. ჯავახიშვილს, სოლომონ ახვლედიანს და შალვა დადიანს, როგორც უნივერსიტეტისა და თეატრის წარმომადგენლებს, რომ ერთი წლის განმავლობაში მოაწყონ ხუთი მილიონის მომგებიანი ლატარეია, რომლის წმინდა შემოსავალიც მოხმარდება ქართულ უნივერსიტეტის თანხას და ქართული თეატრის აშენებას.

— **ქალაქთა წარმომადგენელების ყრილობა.** ქრისტეშობისთვის 1 ს ქალაქის საბჭოს დარბაზში დაიწყო ქალაქთა დელეგატების ყრილობა. ამ ყრილობაზე მოწვეული იყვნენ მთელი კავკასიის ქალაქების დელეგატები, მაგრამ ჩრდილო-კავკასიიდან არავინ გამოცხადებულა. კრებაზე მოვიდა ამიერ-კავკასიის 17 ქალაქის 30 წარმომადგენელი. კრება გახსნა თბილისის ქალაქის მოურავმა ნ. ელიავამ და მიესალმა მას და აღნიშნა კრების განსახილველი საგნები. ამასთანავე წინადადება მისცა კრებას აერჩია პრეზიდიუმი. კრება ფრაქციებად დაიყო და თათბირი გაიმართა პრეზიდიუმის კანდიდატების შესახებ.

— **იარაღის დარიგების მოწესრიგება.** ქრისტეშობისთვის 1-ლს, კრება უნდა ჰქონოდა თბილისის გარნიზონის ყველა ნაწილების რწმუნებულებს დღევანდელ მომენტის შესახებ მოსალაპარაკებლად. სხვათა შორის კრების საგანი იყო საგანგებო კომისიის არჩევა. რომელსაც იარაღი უნდა ჩაჰბარდეს, რათა საჭიროების მიხედვით იგი დაარიგოს მცხოვრებთა შორის.

— **ხოლერის მოლოდინში.** თბილისში მიღებული ცნობების მიხედვით, ლენქორანის მაზრაში ხოლერა უფრო ვაძლიერებულა; ექიმები არ ჰყავთ. საჭიროა სწრაფი დახმარება.

— **სომეხთა კათოლიკოზის პროტესტი** სომეხთა პატრიარქ-კათოლიკოსი გეორქი პროტესტს აცხადებს ამიერ კავკასიის კომისარიატის განკარგულებაზე, რომ სომეხთა საეკლესიო და სამონასტრო მამულები გადაეცეს საადგილ-მამულო კომისიებს. კათოლიკოზი თხოულობს, რომ რუსეთის დამფუძნებელ კრებამდე ეს განკარგულება შეაჩერონ.

— **კავშირი ჩრდილო კავკასიასთან** ჩამოვიდა ყუბანის რესპუბლიკის წარმომადგენელი სიტნიკი კისილი ამიერ-კავკასიის კომისარიატთან მოსალაპარაკებლად, რათა იმერ კავკასიის მთავრობის და ამიერ კავკასიის მოქმედება ერთმანეთს შეუთანხმონ.

— **დეპუტატთა საბჭოს აღმ. კომიტეტის სხდომა.** ქრისტეშობისთვის 1 ლს შესდგა თბილისის მუშ. და ჯარ. კაც. დეპ. საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა მეციხოვნე ჯარის წარმომადგენლების თანადასწრებით. კრება დახურული იყო. როგორც გადმოგვცემენ ხმის უმეტესობით გავიდა ბოლშევიკური რეზოლიუცია, რომელიც ჰკიცხავს აღმ. კომიტეტის მოქმედებას, მოითხოვს დეპ. საბჭოს ახალ არჩევნების დანიშვნას და სხვა. რადგანაც საბჭოს არც ერთ წევრს რეზოლიუციისათვის ხმა არ მიუღია, რეზოლიუცია არ ითვლება მიღებულად.

— **კავკასიონის ულელტეხილის რკინის გზა.** თბილისის ქალაქის გამგეობამ აღძრა საკითხი თბილისსა და კავკავის შუა რკინის გზის გაყვანის შესახებ. თაოსნობა ამ საქმისა თბილისს ეკუთვნის. გზა იმუშავებს ელექტრონით.

## ამიერ კავკასიის ფული

ფინანსთა სამინისტროს კომისარმა ამიერ-კავკასიის ქალაქთა წარმომადგენლების ყრილობის პრეზიდიუმს აცნობა, რომ ქაღალდის ფულის გარშემო ატეხილ დაბრკოლებათა ასაცილებლად ამიერ-კავკასიის კომისარიატის დადგენილების თანახმად უკვე მიღებულია ზომები და მოკლე ხანში გამოიცემა ბონები (წვრილი ქაღალდის ფული), რაც აუცილებლად საჭიროა.

კომისარი აცნობებს ყრილობის პრეზიდიუმს აგრეთვე, რომ ბონების გამოშვება შეუძლია ამიერ-კავკასიის ქალაქთა თვითმართველობებს ამიერ კავკასიის კომისარიატის თავდებობით.

ფინანსების კომისარი სთხოვს აგრეთვე ყრილობის პრეზიდიუმს, ეს საკითხი დასვას განსახილველად ყრილობის ერთ ერთ სხდომაზე და თან წარუგზავნა პროექტი ბონების გამოშვებისა, რომლის მიხედვითაც გამოშვებულ უნდა იქნეს 50 მილიონის ბონები.

ქაღალდის ფულის ღირებულება უზრუნველყოფილი იქნება მთელი ამიერ-კავკასიის ქალაქების ქონებით და ამიერ კავკასიის კომისარიატის თავდებობით ბონები ყველგან მიიღება აქამდე მიღებულ ქაღალდის ფულთან ერთად ბონები გამოშვებული იქნება 1, 2, 3, 5 და 10 მანეთის ღირებულებისა.

## ამიერ კავკასიის

**კომისარიატის დეკრეტები 8 საათის სამუშაო დღის შესახებ.**

1) ამ დეკრეტის მოქმედებას ემორჩილება ყველა წარმოება და მეურნეობა, რომლებიც სარგებლობენ დაქირავებული შრომით, სულ ერთია, რადგანაც უნდა იყოს დაქირავებულთა რიცხვი ამ დაწესებულებებში.

2) სამუშაო დრო არ უნდა აღემატებოდეს დღე და ღამის განმავლობაში 8 სამუშაო საათს, ხოლო კვირის განმავლობაში 46 საათს.

**შენიშვნა.** მე-10 პარაგ. აღნიშნულ უქმეებისა და კვირა დღის წინ მუშაობა გრძელდება 6 საათს.

3) სამუშაო დროთ უნდა ითვლებოდეს ის დრო, რომლის განმავლობაში მუშა იმყოფება მწარმოებელისა ან პატრონის განკარგულებაში.

4) ზედმეტი მუშაობა აკრძალულია: მაგრამ, როგორც განაკლისი, ზედმეტი მუშაობა შეუძლებელია მუშათა პროფესიონალ ორგანიზაციების ნებართვით იმის დროს იმ წარმოებათა შორის, რომლებიც თავდაცვისათვის მუშაობენ, აგრეთვე მაშინ, როცა ამას მოითხოვს რევოლუციის განვითარებისა და გამარჯვებისა დასრულების ინტერესები და ისიც იმ შემთხვევაში თუ უმუშევარნი არ მოიპოვებიან.

5) მე-4 პარაგრ. ჩამოთვლილ შემთხვევების გარდა ზედმეტი მუშაობა აღკრძალულია: ა) როცა ზედმეტი მუშაობა გამოწვეულია დაწყებულ სამუშაოს დასასრულებლად, რომელიც წინასწარ გაუთვალისწინებელ გარამოებითა გამო არ თავდება ნორმალ დროის განმავლობაში და მუშაობის შეჩერება მასალის გაფუჭებას იწვევს. ბ) როცა მუშაობა სწარმოებს იმიტომ, რომ მუშაობის შეჩერება ქონებას და ხალხის სიცოცხლეს საფრთხეს უქზადებს. გ) ქვაბების მანქანის სხვა ნაწილების გაფუჭების დროს, რაც წარმოების მუშაობის შეჩერებას იწვევს.

6) ზედმეტ სამუშაოსთვის უდა მიცეს: პირველ ორ საათის სამუშაო ქირა ერთ ნახევარი, დანარჩენ საათში და უქმე დღეებში ორჯერ მეტი.

7) ზედმეტი სამუშაო დრო დღე ღამეში არას გზით ოთხ საათზე მეტი არ უნდა გაგრძელდეს, საერთოთ 12 საათს არ უნდა აღემატებოდეს.

8) ყველა ზედმეტი სამუშაო უნდა შეიტანონ მუშის საანგარიშო წიგნში ცალკე და აღნიშნონ რამდენი სამუშაო ქირა მიიღო.

9) სამუშაოს დაწყებიდან ექვსი საათის შემდეგ მუშას უნდა მიეცეს დრო დასასვენებლად და საჭმელის მისაღებად არა ნაკლებ ერთი საათისა.

**შენიშვნა:** ამ თავისუფალ დროს მუშა ისე ხმარობს, როგორც მას ჰსურს.

10) მცირე წლოვანთ, რომელთაც 14 წელი არ შესრულებიათ, ნება არა აქვთ ზედმეტი იმუშაონ.

11) აღკრძალულია ღამით ქალების და ბავშვების შრომით სარგებლობა, რომელთაც 14—17 წლამდე არ შესრულებიათ

12) ღამით ითვლება დრო საღამოს ცხრა საათიდან დილის 5 საათამდე.

13) მიწის ქვეშ მუშაობა ეკრძალებათ იმ ქალებს და ბავშვებს, რომელთაც 17 წელი არ შესრულებიათ.

14 აკრძალულია 14—17 წლის ქალების და ბავშვების ზედმეტ სამუშაოზე დაშვება.

15) 14—17 წლამდე ბავშვების სამუშაოთ დაშვება შეიძლება მხოლოდ არა უმეტეს ექვსი საათისა, აქ შედის დასასვენებლათ მიცემული დროც.

16) ბავშვების მუშაობა ერთბაშათ ოთხ საათზე მეტი არ უნდა გაგრძელდეს.

17) ბავშვების სამუშაოთ დაშვება შეიძლება მას შემდეგ, როცა წლოვანების მოწმობას წარმოადგენენ და აგრეთვე ექიმის, რომ მათ ჯანმრთელობა ნებას აძლევს იმუშონ ეს მოწმობები ინახება წარმოების კანტორაში და მოთხოვნისთანავე უნდა წარუდგინონ შრომის სამინისტროს წარმომადგენელს

18) ბავშვები ყოველ წლივ უნდა გასინჯოს ექიმმა და თუ აღმოჩნდა, რომ სამუშაო მის ჯანმრთელობაზე ცუდ გავლენას ახდენს. ამის შესახებ უნდა აცნობონ შრომის სამინისტროს კომისარს.

19) აკრძალულია ბავშვების ისეთ სამუშაოზე დაშვება, რომელიც მის ჯანმრთელობაზე ცუდად მოქმედებს.

20) უქმე დღეების სიაში, როცა მუშაობა არ არის, უნდა შეტანილ იქნას ყველა კვირა დღეები და შემდეგი უქმეები: 1 იანვარი, 6 იანვარი, 27 თებერვალი, 25 მარტი, 1 მაისი, 15 აგვისტო 14 სექტემბერი, 25 და 26 და დეკემბერი, ვნებითი კვირის პარასკევი და შაბათი, ამაღლება და სულისწმინდის მოფენის მეორე დღე.

**შენიშვნა** არა ქრისტიანეთათვის უქმეთა სიაში უნდა შეტანილ იქნას მათი სარწმუნოების მიხედვით მათი უქმეები.

21) ეს დეკრეტი ძალაში შედის დღიდან გამოქვეყნებისა.

22) ეს დეკრეტი ვრცელდება მთელს ამიერ-კავკასიაზე.

23) ვინც ამ დეკრეტით დამყარებულ წესებს დაარღვევს, სამართალში იქნება მიცემული და დაისჯება ექვსი თვით დატუსაღებით.

ხელს აწერს: ამიერ-კავკასიის კომისარიატის თავმჯდომარე და შრომის სამინისტროს კომისარი **ევ. გეგეჭკორი.**

ბეჭედს ასვამს ამიერ-კავკასიის კომისარიატის საქმეთა გამგე **ი. შუმახერი.**

1917 წ. 29 ნოემბერი.

## აჭარა და ჩვენი პარტიები.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ როგორ სწარმოებდა საზოგადოთ არჩევნები პარტიათა შეხლა-შემოხლის გამო. ეს ყველასათვის კარგათ ცნობილია. საარჩევნო ხრიკებს ვერ ასცდა აჭარაც.

უნდა მოვახსენოთ, რომ მას შემდეგ რაც მოგვეცა საშუალება ჩვენი აზრები და სურვილები ხალხისთვის გვეცნო, ჩვენი პარტია დაუცხრომელ მუშაობას აწარმოებდა სამაჰმადიანო საქართველოში. აწარმოებდა არა მარტო პარტიის სასარგებლოთ, არამედ რათა ხსენებულ ხალხში შეეტანა ეროვნული შეგნება და გაეღვივებია ქართველური გრძნობა.

დიდი მუშაობის შემდეგ, თითქმის მივახწიეთ ჩვენს მიზანს და ის იყო უნდა დაგვეგვირგვინებულიყო დიდი ეროვნული საქმე, როდესაც მოვიდა დამფ. კრების არჩევნები და ჩვენი პარტიებიც შეიჭრენ აჭარაში, რამაც საქმე სხვაგვარათ დაატრიალა.

შეხედეს თუ არა აჭარლებმა ჩვენი პარტიების ერთმანეთში განხეთქილებას, ერთგვარი ეჭვი შეეპარათ და გაიფიქრეს: ესენი ერთმანეთში ვერ მორიგებულან და ჩვენ ვის შეუერთდეთო! ხშირათ ამ სიტყვებით ჩვენც მოგვმართავდენ ხოლმე. ამას დაუმატოთ ის გამოუცდელობაც, რომელიც სხვა პარტიის პროპაგანდისტებმა გამოიჩინეს ამ უცნობ ხალხში. საქმე ისაა, რომ აჭარლებში უმაღლეს წერტილამდი არის განვითარებული რელიგიური ფანატიზმი და ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორ შთაბეჭდილებას მოახდენდა მათზე ჩვენ სოფლებში ჩვეული და გასავლიანი ლოზუნგები: ხოჯები (მაჰმად. მღვდლები) უნდა მოვსპოთ, იგინი თქვენი სისხლის მწოველნი არიანო. ამას ეუბნებოდენ პროპაგანდისტები და შემდეგ არწმუნებდენ: თქვენ სჯულს არ ვეხებითო. მაგრამ ამ ორი წინადადების შერიგება აჭარელს ვერ წარმოუდგენია— ხოჯის მოსპობა და სარწმუნოების შერჩენა. და რადგან ეს სიტყვები განსაკუთრებით სოციალისტებიდან ესმოდათ, მთელს აჭარაში გავრცელდა ხმა: სოციალისტები სჯულს გვართმევენო, და ეს სოციალისტები ხომ ქართველები არიან, მაშასადამე, ქართველებს უნდათ სარწმუნოება მოგვისპონო.

მაგრამ ხალხში ჯერ კიდევ არ გამქრალიყო ჩვენი პარტიისადმი ნდობა და, როდესაც ეს შეატყვეს სხვა პარტიებმა, თავიანთი ჟინიანობის გასატანათ შემდეგიც კი უთხრეს ხალხს: „მაგენის (ერ.-დემ.) ხმის მიცემას სჯობს ბაქოელებს მისცეთ ხმაო“. მართლაც გასჭრა ამ სიტყვებმა და უმრავლესობამ კიდეც მისცა ბაქოელ მუსულმანებს ხმა. ამრიგათ, სოციალისტურ პარტიების წყალობით დიდი ზიანი მიადგა ჩვენს ეროვნულ საქმეს. ბათუმელ ფედერალისტებს კი, [illegible] თვალისწინებით ყველა ეს, თავის [illegible] [illegible] გვამოქმედებდა ამ მხარეში, არამედ გვსურდა ეროვნული შეტანა. ფედერალისტების მიზანი კი მხოლოდ ხმების მოპოვება იყო და ამიტომ მარტო არჩევნების დღეს გამოცხადდენ, მანამდი კი არსად სჩანდენ. მაგრამ ვერც თავის მიზანს მიახწიეს და დიდი ეროვნული საქმეც გააფუჭეს. იმ არა საკადრის ლანძღვისთვის კი, რომელიც ამას წინათ მათ გაზეთ „ტალღაში“ იყო მოთავსებული ჩვენი პარტიის შესახებ, შესაფერ პასუხს გაგცემთ ამ მოკლე ხანში.

**დ. უ—ძე.**

## უკანასკნელი პასუხი ვ. ნ. მესხს

წავიკითხე თქვენი პასუხი ჩემდამი მომართული, რომელიც მოთავსებული იყო „ჩვენი ქვეყნის“ № 173 და განვიზრახე მაშინვე განმეორებით გამეცა პასუხი, მაგრამ მცირე დაფიქრების შემდეგ, გადავსწყვიტე მომეთმინა, პატივი მეცა თქვენის ჰალარისათვის როგორც დამსახურებულ მასწავლებლისათვის და შემეწყვიტა კამათი. ეხლა კი ვინაიდან მე პასუხი არ მოგეცით, როგორც გავიგე, თქვენ არ ცხრებით და თქვენს ნაცნობთ შორის კვლავ განაგრძობთ თავის მართლებას. ამიტომ იძულებული ვარ მკითხველ საზოგადოებას მოკლეთ განუმარტო საქმის ვითარება.

პ. მკითხველო! ჩემს სამართლიან წერილს აუღელვებია ბ. ნ. მესხი და თავის გასამართლებლად აღნიშნავს რომ ვითომ ჩემი წერილი მოკლებული იყოს ყოველ მხრივ სიმართლეს და ვცრუობდე. სწორედ ამაზე იტყვიან ჩვენში: „ჩემი შენ გითხარი, გული მოგიკალიო“. ბ. მესხს უკვირს რათ მივმართე მას თხოვნით და და მოყავს შემდეგ: „მე არ მქონდა უფლება მასწავლებლის დანიშვნისა. მეტად მაკვირვებს ეს სიტყვები, განა მე არ ვიცი, რომ რომელიმე ერთ პირს არა აქვს უფლება მასწავლებლის დანიშვნისა!? მაგრამ თუ არ ვსცდები, წესრიგი ამას მოითხოვს; როდესაც რომელიმე თავისუფალი ადგილი აღმოჩნდება, მიმართავენ ამა თუ იმ დაწესებულების გამგეს თხოვნით, შემდეგ კი ის მისცემს გზას და გადასცემს, ვისაც ჯერ არს. მეც სწორედ ასე მოვიქეცი, მივმართე მას, როგორც სკოლის გამგეს. გამგემ კი მიმითითა აღმასრულებელ კომიტეტზე. ამას, თქვენ ბ-ნო ეხლა უარს ჰყოფთ, ბოდიშს ვიხდი თქვენს წინაშე, რომ გავკადნიერდები და მოგახსენებთ, რომ მეხსიერიება გღალატობთ საზოგადოების წინაშე. მე კვლავ გაგახსენებთ რომ ეს სიტყვები თქვენ ბრძანებთ 13 ოქტომბერს იმ დროს, როდესაც თქვენ დასაცველათ ბ. მ. ჩინჩალაძეს და მეც იქვე მოგეგებეთ თხოვნით; სწორედ მაშინ თქვენ მიპასუხეთ შემდეგი: „მე არავითარი უფლება არა მაქვს, მიმართეთ აღმასრულებელ კომიტეტს ღაის დაგნიშნავთ“ (მის მაგიერად უნდა გებრძანებინათ-შემოიტანეთ თხოვნა პედაგოგიურ საბჭოში და იქ გავარჩევთ) მე შეგეკითხეთ „ვინ შედის აღმ. კომიტეტში“ მეთქი.

**აგრაფინა მ. ჩხაიძის ასული.**

(დასასრული იქნება)

## ანგარიში

ომში დაზარალებულთა და მათ ოჯახების დამხმარე საზოგადოების ქუთაისის განყოფილებისა 1917 წლ.

| | |
|---|---|
| 1. ნოემბრისთვის იყო | 1657 მ. 52 კ. |
| კინემოტოგრაფებში პროგრამების გაყიდვამ შემოიტანა | 70 მ. 37 კ. |
| იქვე გაზეთების გაყიდვამ შემოიტანა | 32 მ. 65 კ. |
| შემოსავალი | 1760 მ. 54 კ. |
| გასავალი | 52 მ. 20 კ. |
| 1. დეკემბრისთვის ჯამი | 1710 მ. 34 კ. |

**გამგეობა.**

რედაქტორ-გამომცემელი

**დ. ბ. კვირკელია.**



ეროვნული ბიბლიოთეკა